აჭარისწყალი ჯორჯია
ADJARISTSQALI GEORGIA

# სოციალური პასუხისმგებლობის



# 10 წელი

# YEARS OF SOCIAL RESPONSIBILITY

AGL



# ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ | ABOUT COMPANY

ენერგოკომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ენერგეტიკის სექტორში, რომელიც ფლობს 187 მგვტ სიმძლავრის შუახევის ჰესების კასკადს.

შუახევის ჰესების კასკადი ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 450 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას, რითაც ზრდის საქართველოში ელექტროენერგიის შიდა წარმოებას და აძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

187 მგვტ სიმძლავრის შუახევის ჰესების კასკადი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშენებული ყველაზე დიდი ენერგოობიექტია. ელექტროენერგიის სტაბილურ და უსაფრთხო გამომუშავებასთან ერთად კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა.

კომპანიის მფლობელებს წარმოადგენენ მაღალი რეპუტაციის მქონე ინვესტორები, ნორვეგიული Clean Energy Invest და ინდური Tata Power. შუახევის ჰესების პროექტი დაფინანსებული წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების მიერ, როგორებიც არიან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რესკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და აზიის განვიტარების ბანკი(ADB).

Energy company Adjaristsqali Georgia LLC (AGL) is one of the leading companies in Georgia's energy sector and the owner of the 187 MW Shuakhevi HPP cascade.

The cascade generates approximately 450 million kWh of electricity annually, significantly boosting Georgia's domestic power production and enhancing the country's energy security.

The 187 MW Shuakhevi HPP cascade is the largest energy facility built in the history of independent Georgia. Beyond delivering stable and secure power, our company places paramount importance on safety, environmental protection, and the well-being of local communities.

The company's shareholders are reputable international investors - Norway's Clean Energy Invest and India's Tata Power. The Shuakhevi HPP project is financed by leading international financial institutions, including the International Finance Corporation (IFC), European Bank for Reconstruction and Development (EBRD), and Asian Development Bank (ADB).

კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს ადგილობრივი კანონმდებლობის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, დამფუძნებელი კომპანიებისა და დამფინანსებელი ბანკების სტანდარტების შესაბამისად. ენერგოკომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" არის გაეროს გლობალური შეთანხმების ხელმომწერი და მოქმედებს მდგრადი განვითარების მიზნებისა და პრინციპების მიხედვით.

In its operations, the company adheres to national legislation, leading international practices, and the standards set by its founding companies and financing institutions. Adjaristsqali Georgia LLC is a signatory to the UN Global Compact and operates in line with the principles and objectives of sustainable development.



# ჩვენი ხედვა

ჩვენი მიზანია შუახევი ჰესის ოპერირების არეალში მცხოვრები ადგილობრივი თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და რეგიონის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამის მისაღწევად ჩვენ ინვესტიციას ვახორციელებთ სამი ძირითადი მიმართულებით: განათლება, თემების განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მშენებლობის ეტაპიდან დღემდე, ჩვენ განვახორციელეთ ასობით გრძელვადიანი სოციალური პროექტი.

ჩვენი მიდგომა გრძელდება ოპერირების ეტაპზე და ჩვენ ვრჩებით ორიენტირებულნი ჩვენი გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე.



SOCIAL RESPONSIBILITY

# OUR VISION

Our goal is to improve the living standards of local communities around the Shuakhevi HPP operation area and contribute to the sustainable development of the region. To achieve this, we invest in community through three key areas: education, communities development, and infrastructure improvement. Since the construction phase, we have launched hundreds of long-term, social projects.

Our approach continues during the operational stage, as we remain focused on achieving our long-term goals.



# სოციალური პასუხისმგებლობა

# SOCIAL RESPONSIBILITY

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიამ" შუახევის ჰესების კასკადის განხორციელების არეალში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სოციალური პროექტების განხორციელება დაიწყო. ჩვენი მიზანი იყო, თითოეულ ადგილობრივს საკუთარი წარმატება ეპოვა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისა და ოპერირების პროცესში.

შუახევის ჰესების კასკადის განვითარების პირველივე ეტაპიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ერთმანეთის მოსმენა - ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების, მოლოდინებისა და რეალური პრობლემების გაგება. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კვლევასთან ერთად, ამ დიალოგმა გვაჩვენა, სად იყო ყველაზე დიდი საჭიროება და როგორ შეგვეძლო რეალური ცვლილებების მოტანა. ასე დაიბადა სოციალური პროექტები, რომლებიც წლების განმავლობაში ბუნებრივად იქცა კომპანიის საქმიანობის ნაწილად.

განათლება და ცნობიერების ამაღლება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ადგილობრივი თემების მხარდაჭერა - ეს ის მიმართულებებია რომლის ფარგლებშიც ასობით წარმატებული სოციალური პროექტი განხორციელდა, რომელთა მიზანიც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და რეგიონის გრძელვადიანი განვითარება იყო.

Ten years have passed since Adjaristsqali Georgia began implementing social projects in the area of the Shuakhevi HPP cascade. From the outset, our aim was to ensure that every local could find their own sense of achievement in the development and operation of one of the country's most important projects for energy security.

From the very first stages of developing the Shuakhevi HPP cascade, listening to one another mattered to us - understanding the needs, expectations, and real challenges of the local population. Together with a socio-economic study of the region, this dialogue showed us where the greatest needs lay and how meaningful change could be achieved. This is how social projects emerged - projects that, over time, became a natural part of the company's work.

Education and awareness-raising, infrastructure improvement, and support for local communities are the areas under which hundreds of successful social initiatives have been carried out. Their purpose has been to improve living standards for local residents and to contribute to the long-term development of the region.

თითოეული განხორციელებული პროექტი კონკრეტულ ადამიანებსა და ისტორიებს უკავშირდება: ბავშვებს, რომლებმაც უკეთეს პირობებში მიიღეს განათლება; ოჯახებს, რომლებსაც გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ყოველდღიურ ცხოვრებას უმარტივებს; ადამიანებს, რომლებმაც ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინეს და დასაქმდნენ საკუთარ რეგიონში.

შუახევი ჰესი ათწლეულების განმავლობაში გააგრძელებს ელექტროენერგიის გამომუშავებას, ჩვენ კი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებთ მუდამ, რომ ერთგული და საიმედო მეზობელი ვიყოთ ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ათი წლის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გზა მხოლოდ პროექტების რაოდენობით არ იზომება, ის იზომება ნდობით, პარტნიორობით და იმ პატარა, მაგრამ რეალური ცვლილებებით, რომლებმაც კონკრეტული ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა. სწორედ ეს არის აჭარისწყალი ჯორჯიას სოციალური პასუხისმგებლობის ისტორია - ისტორია, რომელიც დაიწყო ათი წლის წინ და დღემდე გრძელდება.

Each project is connected to real people and real stories: children who gained access to better educational conditions; families whose daily lives were made easier through improved infrastructure; and individuals who discovered new opportunities and found employment in their own region.

The Shuakhevi HPP cascade will continue generating electricity for decades to come. We, in turn, will continue to do everything possible to remain a committed and reliable neighbor to the local community.

After ten years, it is clear that this journey cannot be measured by the number of projects alone. It is measured by trust, partnership, and by the small but real changes that have improved people's lives. This is the story of Adjaristsqali Georgia's social responsibility - a story that began ten years ago and continues today.

## სოციალური პროექტებისთვის ჯამურად დახარჯული თანხა

# 9 000 000 ₾

TOTAL AMOUNT SPENT ON SOCIAL PROJECTS







## 8 000-ზე მეტ ადამიანს მოუტანა სარგებელი

## MORE THAN 8 000 PEOPLE HAVE BENEFITED

### ადგილობრივი თემების მხარდაჭერა
### SUPPORTING LOCAL COMMUNITIES

| | | | |
|---|---|---|---|
| პროექტები | 93 | PROJECTS | |
| პირდაპირი სარგებელი | 438 | ადამიანი people | Direct beneficiaries |
| ირიბი სარგებელი | 5000 | ადამიანი people | Indirect beneficiaries |

### ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება
### INFRASTRUCTURE IMPROVEMENTS

| | | | |
|---|---|---|---|
| პროექტები | 88 | PROJECTS | |
| პირდაპირი სარგებელი | 291 | ადამიანი people | Direct beneficiaries |
| ირიბი სარგებელი | 1200 | ადამიანი people | Indirect beneficiaries |

### განათლება და ცნობიერების ამაღლება
### EDUCATION AND AWARENESS RAISING

| | | | |
|---|---|---|---|
| პროექტები | 10 | PROJECTS | |
| პირდაპირი სარგებელი | 5000 | ადამიანი people | Direct beneficiaries |



# აღმასრულებელი დირექტორის გზავნილი

წელს ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც "აჭარისწყალი ჯორჯიამ" შუახევი ჰესების კასკადის განვითარებასთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების განხორციელება დაიწყო. შუახევი ჰესების კასკადი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში, თუმცა ჩვენი პასუხისმგებლობა ყოველთვის სცილდებოდა მხოლოდ ელექტროენერგიის წარმოებას.

პროექტის საწყისი ეტაპიდან, ადგილობრივ თემებთან ღია და უწყვეტი დიალოგი დაგვეხმარა რეალური საჭიროებების გაცნობასა და გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ათწლეულის განმავლობაში სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა და მოიცავს განათლებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, თემების მხარდაჭერასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.

საერთაშორისო სტანდარტებსა და გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებზე დაყრდნობით, ჩვენ ვქმნით საერთო ღირებულებას პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკების მეშვეობით. მომავალშიც დავრჩებით სანდო პარტნიორად იმ თემებისთვის, სადაც ვსაქმიანობთ, და განვაგრძობთ ისეთი ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და გრძელვადიან დადებით გავლენას.

სატიშ რამეშ ბჰატ
აღმასრულებელი დირექტორი

# Message from the CEO

This year marks a decade since Adjaristsqali Georgia began implementing social responsibility initiatives alongside the development of the Shuakhevi HPP cascade. While the project plays a vital role in strengthening Georgia's energy security, we have always believed that our responsibility extends well beyond power generation.

From the very beginning, open and consistent dialogue with local communities enabled us understand genuine needs and design meaningful, long-term solutions. Over the years, social responsibility has become an integral part of our operations — encompassing education, infrastructure development, community support, and the economic empowerment of women.

Guided by international standards and the principles of the UN Global Compact, we are committed to creating shared value through responsible business practices. As we look ahead, we remain dedicated to being a trusted partner to the communities where we operate, advancing initiatives that deliver lasting impact and contribute to sustainable development for generations to come.

Satish Ramesh Bhat
Chief Executive Officer

# პარტნიორობის 10 წელი

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის გზა ეფუძნება აჭარის მაღალმთიანი მოსახლეობის ჩართულობას, პარტნიორობასა და ერთიან პროგრესს. ის, რაც თავდაპირველად საზოგადოებისთვის სარგებლის დაბრუნების სურვილით დაიწყო, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა გრძელვადიან თანამშრომლობად, რომელიც ურთიერთმოსმენით, ურთიერთსწავლითა და საერთო საქმეებით იქნა გამყარებული.

ამ წლების განმავლობაში ჩვენ ადგილობრივ ოჯახებთან, სკოლებთან, ფერმერებთან და თემის ლიდერებთან ერთად ვმუშაობდით განათლებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თუ მცირე მეწარმეების გაძლიერების მიზნით. ჩვენი ინიციატივები ერთი რწმენით იყო წარმართული: გრძელვადიანი და რეალური შედეგი მიიღწევა მაშინ, როდესაც მოსახლეობა ცვლილებების აქტიური თანამონაწილეა.

მაღალმთიანი აჭარა მდიდარია კულტურითა და ტრადიციებით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მივაღწიეთ, თუმცა კიდევ უფრო მეტად ვაფასებთ იმ ნდობას, მეგობრობასა და მჭიდრო ურთიერთობებს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ამ 10-წლიანი ეტაპის აღნიშვნისას ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს სოციალურ პასუხისმგებლობას და ვაგრძელებთ შუახევი ჰესის არეალში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად მაღალმთიანი აჭარის გრძელვადიან განვითარებას.

ნინო დიასამიძე

კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობის ხელმძღვანელი

# 10 Years of Partnership

For the past ten years, our Social Responsibility journey has been rooted in engagement, partnership and shared progress with the mountainous communities of Ajara. What began as a commitment to give back has grown into a long-term collaboration shaped by listening, learning, and acting together.

Across these years, we have worked alongside local families, schools, farmers, and community leaders to support education and youth development, improve local infrastructure, or to empower small producers. Our initiatives have been guided by one clear belief: lasting impact is built when communities are active partners in change.

The mountainous regions of Ajara are rich in culture and tradition. We are proud of what we have achieved together, but even more grateful for the trust, friendship, and close relationships built along the way. As we mark this 10-year milestone, we reaffirm our social responsibility and continue to work alongside the communities living in the Shuakhevi HPP area for the long-term development of highland Ajara.

Nino Diasamidze

Head of Corporate
Social Responsibility



# ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა



# WOMEN'S ECONOMIC SUPPORT PROGRAM

Supporting women's initiatives and businesses in the communities where we operate is a core part of our company's social responsibility. The aim is to strengthen local economies and promote sustainable development.

მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების ინიციატივების, არსებული და ახალი ბიზნესების მხარდაჭერა, ჩვენი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ჩვენი მიზანია ადგილობრივი თემების ეკონომიკური გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.



# ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა

# WOMEN'S ECONOMIC SUPPORT PROGRAM

შუახევის ჰესების კასკადის პროექტის საწყის ეტაპზე ადგილობრივი ქალები მონაწილეობდნენ კომპანიის მიერ თემების გაძლიერების მიმართულებით განხორციელებულ საგრანტო პროგრამებში. 2023 წლიდან, მას შემდეგ რაც კომპანია გახდა პროგრამის "სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერება" დამფინანსებელი, მხარდაჭერის პროცესი ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებთან პარტნიორობით გაგრძელდა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ინიციატივის მასშტაბი და ეფექტიანობა.

---

At the initial stage of the Shuakhevi HPP Cascade Project, local women took part in grant programs run by the company to support community empowerment. Since 2023, after the company became a funder of the "Economic Empowerment of Rural Women" program, support has been provided in partnership with the Khulo and Shuakhevi municipalities, significantly expanding the reach and impact of the initiative.





# ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა | WOMEN'S ECONOMIC SUPPORT PROGRAM

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 31 ქალი მეწარმე ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან.

გვინდა გაგიზიაროთ ქალების წარმატების ისტორიები - ქალების, რომლებიც საკუთარი შრომით, პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ქმნიან ეკონომიკურ ღირებულებას როგორც საკუთარი ოჯახებისთვის, ისე ადგილობრივი თემებისთვის. მათი საქმიანობა ნათლად ასახავს იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ბიზნესი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ შემოსავლის წყაროდ, არამედ თვითრეალიზაციისა და განვითარების შესაძლებლობად.

ეს ისტორიები გვიჩვენებს, თუ როგორ უწყობს ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ხელს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ღირსეული სამუშაოს შექმნას და გენდერული თანასწორობის განმტკიცებას - რაც სრულად ეხმიანება ჩვენი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ხედვასა და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების სტრატეგიას.

31 women entrepreneurs from Khulo and Shuakhevi municipalities received funding under the project.

We want to share the success stories of these women - those who, through hard work, responsibility, and professionalism, create economic value for their families and their communities. Their work shows how business can be more than a source of income, offering opportunities for personal growth and self-realization.

These stories demonstrate how empowering women contributes to inclusive economic growth, the creation of decent jobs, and stronger gender equality - fully in line with our company's social responsibility goals and long-term sustainable development strategy.







ამილონა დეკანაძე
AMILONA DEKANADZE

ამილონას ესთეტიკური ცენტრი  ხულოს ცენტრში 2021 წლიდან ფუნქციონირებს  და ადგილობრივი ქალებისთვის მნიშვნელოვანი სივრცეა.

ამილონას მთავარი მიზანი იყო, სოფლებში მცხოვრებ ქალებს ჰქონოდათ შესაძლებლობა საკუთარ თავზე ზრუნვისა და სილამაზის სერვისებზე ხელმისაწვდომობის, პარალელურად კი შეექმნა დასაქმების ახალი შესაძლებლობები ადგილზე.

მისი თქმით, ადგილობრივ ქალებს ხშირად არ რჩებათ დრო საკუთარი თავისთვის, რადგან მესაქონლეობა და ყოველდღიური საოჯახო საქმეები დიდ ენერგიას მოითხოვს. სწორედ ამიტომ,  ხულოში არსებული ესთეტიკური ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი ფასებია,  მათ აძლევს საშუალებას, სასურველი პროცედურები საკუთარ რეგიონში ჩაიტარონ.

დღეს ამილონას ცენტრში რვა ადამიანი მუშაობს. სამომავლოდ ის გეგმავს მოსწავლეების მიღებას, რათა ქალებს ადგილზე შეასწავლოს ეს პროფესია და მისცეს შესაძლებლობა, საკუთარი შრომით სტაბილური შემოსავალი ჰქონდეთ და თვითრეალიზება შეძლონ.

## ადგილი სადაც ქალები საკუთარ თავზე ზრუნვას სწავლობენ

## A place where women learn to care for themselves

Amilona's Aesthetic Centre has been operating in the centre of Khulo since 2021 and has become an important space for local women.

Amilona's main goal was to ensure that women living in rural areas had access to self-care and beauty services, while at the same time creating new employment opportunities within the community.

She says that local women often have little time for themselves, as livestock farming and daily household responsibilities require significant time and energy. For this reason, the aesthetic centre in Khulo, with its affordable prices, offers women the opportunity to undergo the treatments they need without leaving their region.

Today, eight people are employed at Amilona's centre. Looking ahead, she plans to take on students to teach women the profession locally, enabling them to gain skills, earn a stable income through their own work, and achieve personal fulfilment.



ნინო ქათამაძე
NINO KATAMADZE

## ბიზნესად ქცეული საყვარელი საქმე – ვარდების ბაღი

## A beloved passion turned into a business – the rose garden

ნინო ქათამაძე შუახევის სოფელ ცივაძეებში ცხოვრობს. ის ერთ-ერთი წარმატებული ადგილობრივი მეწარმეა. ნინო, სხვა ქალების მსგავსად, ადგილობრივი საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია, რამაც შესაძლებლობა მისცა მრავალწლიანი ოცნება - ჰქონოდა ვარდების ბაღი და ეს საქმიანობა ბიზნესად ექცია - რეალობა გამხდარიყო.

მისი ეზო სისუფთავითა და სილამაზით გამოირჩევა, თუმცა ნინოს ყველაზე დიდი სიამაყე სათბურია, სადაც წითელ, ხავერდოვან ვარდებს ზრდის. ეს ვარდები უკვე არა მხოლოდ მისი ბაღის, არამედ მთელი სოფლის სიამაყეა. როგორც თავად ამბობს, ყოველთვის უნდოდა ამ საქმიანობის წამოწყება, მაგრამ სათანადო პირობების გარეშე ეს ოცნებად რჩებოდა. ახლა კი, თავისი შრომითა და მიზანდასახულობით, ნინოს უკვე ორი მოსავალი აქვს მიღებული.

მისი ვარდები ძირითადად ბათუმში იყიდება, თუმცა ნინო გეგმავს საქმიანობის გაფართოებას - ვარდების დარგვას ღია სივრცეშიც. ის საკუთარი გამოცდილებით აჩვენებს, რომ შრომა და რწმენა ყოველთვის იძლევა შედეგს.

ნინოს ბაღი დღეს წარმატების, სილამაზისა და მტკიცე ნების სიმბოლოა - მაგალითი იმისა, რომ ოცნება შეიძლება გადაიქცეს რეალურ და მდგრად ბიზნესად.

Nino Katamadze lives in the village of Tsivadzeebi in Shuakhevi. She is one of the community's most inspiring local entrepreneurs - a woman whose determination turned a long-held dream into reality. Like many other women in the region, Nino became a winner of a local grant competition, which opened the door for her to transform her passion into a real business: growing roses.

Her home stands out for its cleanliness and beauty, but Nino's greatest pride is her greenhouse, where she cultivates deep red, velvet-textured roses. These roses have become a symbol of pride not only for her own garden but for the entire village. As Nino often says, she had always dreamed of starting this work, but without the right conditions, it remained only a dream. Today, thanks to her hard work and determination, she has already harvested two successful cyclzes.

Most of her roses are sold in Batumi, yet Nino is already thinking bigger - she plans to expand her business by planting roses in open fields as well. Through her own journey, she shows the power of persistence: when people believe in their dreams and work for them, results always follow.

Nino's garden is a symbol of success, beauty, and resilience - a living reminder that a dream can grow into a real, sustainable enterprise.



# ასმათ ტუნაძე
## ASMAT TUNADZE

ასმათ ტუნაძემ ოჯახური ტრადიცია თანამედროვე ბიზნესად აქცია. დღეს ის ნატურალური ხილისგან დამზადებული ტყლაპის საწარმოს - "ფესტილის" დამფუძნებელია, სადაც ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქტი იწარმოება.

ტყლაპის წარმოება ასმათისთვის ბავშვობიდან საინტერესო საქმე იყო, რომელიც ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. როცა საქმის ბიზნესად ქცევა გადაწყვიტა, თავდაპირველად თვითონ ამზადებდა ტყლაპს, თუმცა შრობის პროცესს კვირები სჭირდებოდა, ხოლო უამინდობის დროს პროდუქტი ხშირად ფუჭდებოდა. დაფინანსების მოპოვების შემდეგ შეიძინა თანამედროვე საშრობი დანადგარები, რის შედეგადაც იგივე პროცესი სულ 12 საათში სრულდება.

ასმათის თქმით, მსგავს პროექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის. მისი აზრით, ადგილობრივ ქალებს აქვთ იდეები, ცოდნა და შრომისმოყვარეობა - უბრალოდ სჭირდებათ შესაძლებლობა, რომ საკუთარი იდეები რეალობად აქციონ.

## ოჯახური ტრადიცია, რომელიც წარმატებულ ბიზნესად იქცა

## A family tradition turned into a successful business

Asmat Tunadze turned a family tradition into a modern business. Today, she is the founder of "Festili," a small enterprise that produces natural fruit leather made from eco-friendly, high-quality ingredients.

Dry fruit (tklapi) production had been a fascinating craft for Asmat since childhood - a skill passed down through generations in her family. When she decided to transform this craft into a business, she initially produced the dry fruit (tklapi) herself. However, the drying process took weeks, and during bad weather, the product often spoiled. After receiving financial support, she was able to purchase modern drying equipment, allowing the same process to be completed in just 12 hours.

According to Asmat, projects like this are especially important for women living in mountainous regions. She believes that local women have ideas, knowledge, and strong work ethic - they simply need the opportunity to turn their ideas into reality.



# ზეინაბ მეხეშიძე
## ZEINAB MEKHESHIDZE



## შექმნილია სიყვარულით – ზეინაბის ტორტები

## Made with Love – Zeinab's Cakes

ზეინაბი პროფესიით ფილოლოგია, თუმცა თავისი კარიერული განვითარების გზად კონდიტერია აირჩია. დღეს ის ხულოს ცენტრში საკონდიტროსა და კაფეს მფლობელია - სივრცისა, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ნაწილია.

სტუდენტობიდანვე უყვარდა ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა. სწავლის დასრულების შემდეგ კი გადაწყვიტა, საყვარელი საქმე საკუთარ ბიზნესად ექცია. თავდაპირველად გახსნა პატარა საცხობი, რომელიც დროთა განმავლობაში გაიზარდა და დღეს უკვე წარმატებულ ბიზნესად იქცა. ზეინაბი იმ ქალებს შორისაა, ვინც არასოდეს ჩერდება.

ზეინაბი თვლის, რომ ნებისმიერი ქალი, რომელსაც აქვს სურვილი და იდეა, შეძლებს საკუთარი ოცნების რეალობად ქცევას - ნაბიჯ-ნაბიჯ, საკუთარი შრომით და რწმენით.

Zeinab is a philologist by profession, but she chose a career path as a pastry chef. Today, she is the owner of a bakery and café in the center of Khulo - a space that has become an integral part of the local community.

Ever since her student days, she loved baking cakes and pastries. After finishing her studies, she decided to turn her passion into her own business. She started with a small bakery, which gradually grew and has now become a successful enterprise. Zeinab is one of those women who never stops moving forward.

She believes that any woman with a desire and an idea can make her dreams a reality - step by step, through her own effort and determination



## ᲛᲝᲜᲘᲙᲐ ᲩᲝᲒᲐᲫᲔ
## MONIKA CHOGADZE

მონიკა ჩოგაძე ხულოს რაიონის სოფელ განახლებაში ცხოვრობს. ფოტოგრაფიით რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა და ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ნათესავებს ხშირად იღებდა. პროცესი მოსწონდა, გადაღებულ ფოტოებს ყურადღებით სწავლობდა და მუდმივად ცდილობდა, ყოველ ჯერზე უკეთესი კადრი გადაეღო.

პანდემიის პერიოდი, არაერთი ადამიანის მსგავსად, მისთვისაც ახალი შესაძლებლობების გაჩენისა და გამოყენების ეტაპად იქცა. სწორედ ამ დროს გაიარა ონლაინ ფოტოგრაფიის კურსი, შეიძინა ახალი უნარები და პანდემიის დასრულების შემდეგ მისი გადაღებული ფოტოები კიდევ უფრო პოპულარული გახდა. გადაღებებს გარე სივრცეში გეგმავდა, რადგან საკუთარი ფოტო-სტუდია არ ჰქონდა.

გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი შეიტანა, ყველა ეტაპი გაიარა და ფოტო-სტუდიის მოწყობისთვის დაფინანსებაც მოიპოვა.

მონიკა თვლის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. მისი მიზანია, რომ ფოტოსტუდია კიდევ უფრო განვითარდეს, გაფართოვდეს და გახდეს ადგილი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ადგილობრივების მოთხოვნას, უმასპინძლებს რეგიონის სტუმრებსა და ტურისტებს.

## კადრები, რომლებიც ისტორიას ინახავს

## Capturing Stories in the Mountains



Monika Chogadze lives in the village of Ganakhleba in the Khulo municipality. She became interested in photography several years ago, frequently photographing family members, friends and relatives. She enjoyed the process, carefully reviewing her images and constantly striving to improve with every shoot.

Like many others, the pandemic became a period of new opportunities for her. It was during this time that she completed an online photography course, gaining new skills. After the pandemic ended, her photographs became even more popular. She organised photo shoots outdoors, as she did not have her own photo studio.

She applied for an announced competition, passed all stages and secured funding to set up a photo studio.

Monika believes this is only the beginning. Her goal is to further develop and expand the studio, turning it into a space that fully meets local demand and welcomes visitors and tourists to the region.



## ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ
## TAMTA KEDELIDZE

თამთა ქედელიძე ხულოში, სოფელ ქედლებში ცხოვრობს. პროფესიით ფილოლოგია, მისი ოჯახი ქოთნის ყვავილების მოვლითა და გამრავლებით არის დაინტერესებული. მათთან ათობით განსხვავებულ, საინტერესო და იშვიათ ქოთნის ყვავილს შეხვდებით.

ქოთნის ყვავილების ბიზნესად გადაქცევის იდეას დედის ყვავილებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს უკავშირებს.

შუახევში ქოთნის ყვავილების შეძენა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივების დაინტერესება დიდია და ყვავილების შესაძენად ბათუმში მიდიან. სწორედ ამიტომ, თამთამ გადაწყვიტა მისი ოჯახისთვის საყვარელი საქმიანობა ბიზნესად ექცია.

ჯერ საწყის ეტაპზეა, თუმცა დიდი გეგმები აქვს. სამომავლოდ, თამთა სათბურის მოწყობას და ბიზნესის გაფართოებას აპირებს.



## ქოთნის ყვავილებისადმი სიყვარულის ბიზნესად ქცევის ისტორია

## The Story of Turning Love for Potted Flowers into a Business

Tamta Kedelidze lives in the village of Kede, in the Khulo municipality. She is a philologist by profession, but her family has long been passionate about growing and caring for potted flowers. Their home is filled with dozens of unique, rare, and beautiful potted plants.

Tamta attrbutes the idea of turning potted flowers into a business to her mother's deep love for them.

In Shuakhevi, it is impossible to buy potted flowers locally, despite strong community interest, and people often travel to Batumi to purchase them. This inspired Tamta to turn her family's beloved hobby into a small business.

Although her business is still in its early stages, she has big plans: in the future, she intends to build a greenhouse and expand her enterprise.



## ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲤᲣᲥᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ
## SHUSHANA PHUKTKARADZE

ყოველ დილით, შუშანა ფუქტკარაძე, პირველ სტუმრებს საუკეთესო აჭარული საუზმით ხვდება. შუახევში, საოჯახო სასტუმრო "მარათი" მისი ყოველდღიური ზრუნვისა და შრომის შედეგია. ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად სტუმრების რაოდენობა მატულობს და ხშირად ყოველდღიურად უწევს სტუმრების მიღება, მასპინძლობა და დეტალებზე ზრუნვა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით შუშანამ საკონფერენციო დარბაზი მოაწყო, რაც "მარათს" ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს.

სტუმრებს აქ ლამაზი, მყუდრო ნომრები და ავთენტური გარემო ხვდებათ. სურვილის შემთხვევაში მათ შესაძლებლობა აქვთ საუკეთესოდ მოვლილ ბოსტანში მასთან ერთად ბოსტნეული დაკრიფონ და შუშანასთან ერთად ოჯახური სადილი მოამზადონ, რაც განსაკუთრებით უცხოელი სტუმრებისთვის საყვარელი აქტივობაა.

აქ სტუმრები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში - სწორედ ეს არის "მარათის" მთავარი ხიბლი.

# ადგილი შუახევში – სადაც სტუმრები თავს სახლში გრძნობენ

# The Place in Shuakhevi – Where Guests Feel at Home

Every morning, Shushana Phuktkaradze welcomes her first guests with a traditional Ajara-style breakfast. In Shuakhevi, the family-run guesthouse "Marati" reflects her daily care and steady work. As summer arrives, visitor numbers increase, and hosting guests, meeting their needs, and paying attention to every detail becomes part of her routine.

With support received through the Women's Economic Empowerment Program, Shushana arranged a conference hall, creating new opportunities for "Marati."

Guests stay in simple, comfortable rooms and an authentic setting. Those who wish can join her in the carefully maintained garden, harvesting vegetables and preparing a home-style lunch together-an activity particularly appreciated by international visitors.

Here, guests feel at ease, as they might in their own home. This quiet sense of belonging is what gives "Marati" its lasting appeal.



## ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲡᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ
## SHORENA SURMANIDZE

# კალათები, ტრადიცია და თანამედროვე ცხოვრება



# Baskets, Tradition, and Modern Life

შორენა სურმანიძე ხულოში, სოფელ ძმაგულაში ცხოვრობს. თანასოფლელ ქალებთან ერთად ხელსაქმით არის დაკავებული. რამდენიმე თვის წინ, მეზობელმა სიმინდის ფუჩეჩისგან კალათების მოქსოვა ასწავლა, მას შემდეგ შორენა თავისუფალ დროს კალათებს ქსოვს და თავის ნამუშევრები გამოფენებზე გააქვს, სადაც ადამიანები დიდი ინტერესით ეცნობიან.

ზაფხულის პერიოდში მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ ქალებს შრომა განსაკუთრებით დიდ დროს და ენერგიას ართმევს. ყანა, ჭალა, მთის საძოვრები და ზამთრისთვის მომზადება მათი დღის უდიდეს ნაწილს იკავებს. სწორედ ამიტომ, ხელსაქმისთვის მეტი დრო მათ ზამთრის ცივ დღეებში აქვთ, როცა მთის საქმეები შედარებით ნაკლებ ჩართულობას მოითხოვს.

შორენასთვის კალათების ქსოვა ერთი მხრივ სიამოვნებაა, მეორე მხრივ კი ბიზნეს საქმიანობა სადაც მაქსიმალურად შენარჩუნებულია ადგილობრივი ტრადიციები. მისი საქმიანობა ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია - როგორ შეიძლება ძველმა ხელობამ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს გაუძლოს.

Shorena Surmanidze lives in the village of Dzmagula, in Khulo. She works alongside other local women in traditional crafts. A few months ago, a neighbour taught her how to weave baskets from corn husks, and since then Shorena has spent her free time weaving. She takes her creations to exhibitions, where people show great interest in her work.

During the summer, work takes up a particularly large amount of time and energy for women living in highland Ajara. Haymaking, threshing, mountain pastures, and preparations for winter occupy most of their day. For this reason, they have more time for craftwork in the cold winter months, when the mountain tasks require less attention.

For Shorena, weaving baskets is both a pleasure and a business activity, in which local traditions are carefully preserved. Her work is an excellent example of how an old craft can adapt to the demands of modern life.

# განათლება და ცნობიერების ამაღლება



# EDUCATION AND AWARENESS RAISING

Education and awareness raising are essential for creating long-term opportunities and strengthening local communities. Through targeted training, academic support, and professional development programs, AGL, using an approach tailored to local needs, invests in building practical skills, improving employability, and supporting future generations.

განათლების მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს გრძელვადიანი შესაძლებლობების შექმნისა და ადგილობრივი თემების გაძლიიერების საფუძველს. მიზნობრივი ტრენინგების, აკადემიური მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების პროგრამების მეშვეობით კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია", ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული მიდგომით, ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობების ზრდას და მომავალი თაობების მხარდაჭერას.



| | |
|---|---|
| 1,189 | მოსწავლე მონაწილეობდა სხვადასხვა ინგლისურენოვან აქტივობაში.<br>Students participated in various English-language activities |
| 121 | მოზარდმა გაიარა ტრენინგი ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ<br>Teenagers trained in healthy lifestyle |
| 99 | ადგილობრივი ქალმა გაიარა ჯანდაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგი<br>Local women covered under various awareness training on healthcare |
| 88 | ადგილობრივმა მამაკაცმა მიიღო ინფორმაცია მამაკაცის ჯანმრთელობის შესახებ<br>Local men received information on Men’s Health |
| 30 | სტუდენტმა მიიღო სრული საბაკალავრო სტიპენდია<br>Students received AGL’s full bachelor’s scholarship |

## სკოლის მხარდაჭერა | SCHOOL SUPPORT

| | |
|---|---|
| 4 | სკოლამ მიიღო  გრანტი STEM პროგრამის ფარგლებში<br>Schools received grants under the STEM Program |
| 40 | მოსწავლემ გაიარა მოსამზადებელი კურსები ეროვნული გამოცდებისთვის<br>Students received preparatory courses for state unified  national exams |
| 14 | სკოლამ მიიღო დაფინანსება სკოლის ეზოების, ბიბლიოთეკების, სპორტული დარბაზების რეაბილიტაციისათვის<br>Schools received various support such as rehabilitation of schools yards,re-furbishment of libraries, sport halls. |

## ტრენინგი TRAINING

### მოძრაობის უსაფრთხოება TRAFFIC SAFETY

| | |
|---|---|
| 80 | მოსწავლე<br>Schoolchildren |
| 35 | მასწავლებელი<br>Teachers |
| 15 | მძღოლი<br>Drivers |
| 25 | მარშალი<br>Marshals |



# განათლება და უნარების განვითარება
# EDUCATION AND SKILLS DEVELOPMENT

## პროფესიული განვითარება | PROFESSIONAL DEVELOPMENT

| | |
|---|---|
| 79 | ინგლისური ენის მასწავლებელმა აიმაღლა უნარები<br>English teachers enhanced their skills |
| 2 | ინჟინერი გადამზადდა ტრენერად<br>Engineers trained as Trainers |
| 7 | სტუდენტმა დაასრულა სტაჟირება<br>Students completed internships |
| 660 | ადგილობრივმა გაიარა უნარების ამაღლების ტრენინგი შუახევი ჰესის მშენებლობაზე დასაქმებამდე<br>locals completed skills-development training before being employed on the construction of the Shuakhevi Hydropower Plant |



# განათლება და უნარების განვითარება | EDUCATION AND SKILLS DEVELOPMENT

განათლება და პროფესიული უნარების განვითარება "აჭარისწყალი ჯორჯიას" სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. კომპანია წლების განმავლობაში ახორციელებს მრავალმხრივ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის გაძლიერებას, დასაქმების ხელშეწყობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

შუახევის ჰესის მშენებლობის ეტაპზე, დასაქმებამდე, უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში ტრენინგი 660-მა ადგილობრივმა გაიარა. მშენებლობის დასრულების შემდეგ კი კომპანიამ ყოფილ თანამშრომლებს დამატებითი პროფესიული განვითარების კურსები დაუფინანსა, რათა მათ შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობა შეენარჩუნებინათ.

უსაფრთხოებაზე ზრუნვა კომპანიის საგანმანათლებლო აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილია. საგზაო უსაფრთხოების ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 80 მოსწავლემ, 35 მასწავლებელმა, 15 კომპანიის მძღოლმა და 25 მარშალმა, რამაც ადგილობრივ თემებში უსაფრთხო გადაადგილების კულტურის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

ჯანდაცვის მიმართულებით აჭარისწყალი ჯორჯიამ არაერთი პროგრამა განახორციელა. ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლების ინიციატივებში ჩაერთო 99 ადგილობრივი ქალი და 35 მედდა ხულოსა და შუახევის საავადმყოფოებიდან. დამატებით, 430 ადგილობრივს ჩაუტარდა ტესტირება B/C ჰეპატიტსა და აივზე, 121 სკოლის მოსწავლემ გაიარა ჯანსაღი ცხოვრების წესის ტრენინგი, ხოლო 88 ადგილობრივმა კაცმა მიიღო მონაწილეობა მამაკაცთა ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო სესიებში.

Education and professional skills development are among the key priorities of Adjaristsqali Georgia's corporate social responsibility agenda. For years, the company has been implementing comprehensive educational and awareness-raising programs aimed at strengthening local knowledge, supporting employment, and improving quality of life.

Prior to employment during the Shuakhevi HPP construction phase, 660 local residents received training through the Skills Development Program. Following the completion of construction, the company continued supporting former employees by financing additional professional development courses, enabling them to remain competitive in the labor market.

Ensuring safety is an integral part of the company's educational activities. Traffic safety training was delivered to 80 schoolchildren, 35 teachers, 15 company drivers, and 25 street marshals, contributing to the strengthening of a culture of safe mobility within local communities.

In the healthcare field, Adjaristsqali Georgia implemented several programs. Healthcare awareness initiatives engaged 99 local women and 35 nurses from Khulo and Shuakhevi hospitals. In addition, 430 local residents were tested for Hepatitis B/C and HIV, 121 schoolchildren received training on healthy lifestyles, and 88 local men participated in Men's Health information sessions.

განათლების ხელშეწყობა განსაკუთრებით აქტიურია ინგლისური ენის მიმართულებით. კომპანიის მხარდაჭერილი პროგრამების შედეგად 79 ინგლისური ენის მასწავლებელმა გაიუმჯობესა პედაგოგიური და ენობრივი უნარები, ხოლო 1,189 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ინგლისურენოვან აქტივობებში, მათ შორის ესეების კონკურსებსა და მართლწერის შეჯიბრებებში. გარდა ამისა, 212 მეთორმეტე კლასის მოსწავლემ გაიარა ინგლისურ ენაში უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები.

კომპანია აქტიურად უჭერს მხარს უმაღლეს განათლებასაც - 30 სტუდენტმა მიიღო  სტიპენდია სრულ საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მიეცა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის 7 სტუდენტსაც, რომლებმაც სამშენებლო ობიექტზე სტაჟირება გაიარეს, მათგან 3 კი შემდგომში დასაქმდა შუახევი ჰესზე.

STEM განათლების წახალისების პროგრამის ფარგლებში ოთხმა სკოლამ მიიღო "აჭარისწყალი ჯორჯიას" გრანტი, რაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისადმი ინტერესის ზრდას ემსახურება. ასევე, სამი წლის განმავლობაში კომპანია მხარს უჭერდა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებელ კურსებს სოფელ დიდაჭარაში, რის შედეგადაც 40 სტუდენტს სხვადასხვა საგანში უფასოდ მომზადების შესაძლებლობა მიეცა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პარტნიორობებსაც. აჭარისწყალი ჯორჯია ჩართული იყო USAID-ის მიერ დაფინანსებულ უნარების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებში კომპანიის ორი ინჟინერი გადამზადდა ტრენერად და დღეს ელექტრიკოსებისთვის ატარებენ პრაქტიკულ გაკვეთილებს შუახევში, პროფესიულ სასწავლო ცენტრში "შავი ზღვა".

განათლებაში, უნარებსა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება კომპანიის გრძელვადიანი ხედვის ნაწილია - ხედვისა, რომელიც ძლიერი თემების, პროფესიონალების და მდგრადი მომავლის შექმნას ემსახურება.

Support for education is particularly strong in the field of English language learning. Through AGL-supported programs, 79 English language teachers enhanced their pedagogical and language skills, while 1,189 students participated in English-language activities, including essay competitions and spelling bees. In addition, 212 12th-grade students completed English-language university entrance exam preparation courses.

The company also actively supports higher education. Thirty students received AGL scholarships to continue their studies in full bachelor's degree programs. Professional development opportunities were also provided to seven students from Tbilisi Technical University, who completed internships at the construction site, with three subsequently employed at Shuakhevi HPP.

Under the STEM Education Encouragement Program, four schools received grants from Adjaristsqali Georgia, aimed at increasing interest in science and technology. In parallel, over a three-year period, the company supported United National Examination preparatory courses in Didachara village, enabling 40 students to receive free preparation in different subjects.

International partnerships also play an important role. Adjaristsqali Georgia was engaged in the USAID-funded Skills Development Program, under which two company engineers were trained as trainers and now deliver practical classes for electricians at the Black Sea Vocational Training Center in Shuakhevi.

Investment in education, skills, and human capital is an integral part of the company's long-term vision-one that aims to build strong communities, skilled professionals, and a sustainable future.



# სტუდენტების სტაჟირების პროგრამა | STUDENT'S INTERNSHIP PROGRAM

შუახევი ჰესის პროექტის მშენებლობის ეტაპზე კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიამ" სპეციალური სტაჟირების პროგრამა შეიმუშავა, სადაც გასაუბრების შედეგად წარმატებულ და მოტივირებულ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მენტორობით სამშენებლო სამუშაოებში ჩართულიყვნენ.

პროგრამა მოიცავდა ჰიდროელექტროსადგურის, დიდაჭარის კაშხლისა და წყალსაცავის, ასევე სხალთა ჰესის, ჩირუხის დამბის და სხვა ნაგებობების მშენებლობაზე პრაქტიკული ცოდნის მიღებას.

During the construction phase of the Shuakhevi HPP project, Adjaristsqali Georgia developed a special internship program, through which successful and motivated students, selected after interviews, were given the opportunity to participate in construction work under the mentorship of leading international specialists.

The program included gaining practical experience in the construction of the hydroelectric power plant, the Didachara Dam and Reservoir, as well as the Skhalta HPP, Chirukhi Weir, and other related facilities.





სტაჟირების დროს სტუდენტები ეცნობოდნენ ჰესის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპს, ტექნიკურ დეტალებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ყოველდღიურ ოპერაციებში.

ჯამურად სტაჟირების პროგრამა გაიარა შვიდმა სტუდენტმა, რომელთა ნაწილიც დღეს კომპანიის თანამშრომელია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს შუახევი ჰესების კასკადის წარმატებული ოპერირების პროცესში.

During the internship, students became familiar with the various stages of HPP construction, technical details, and safety standards, and actively participated in daily operations.

In total, seven students completed the internship program, some of whom are now company employees and play an important role in the successful operation of the Shuakhevi HPP cascade.



# ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ | UNIVERSITY PREP PROGRAM

საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიამ" დიდაჭარის სკოლაში აბიტურიენტების მოსამზადებელი ცენტრი გახსნა, სადაც ადგილობრივ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, კომპანიის სრული დაფინანსებით მომზადებულიყვნენ ექვს საგანში: ისტორია, ბიოლოგია, ქიმია, უცხო ენა, ქართული და მათემატიკა.

კომპანიის პრიორიტეტია, რომ მთაში მცხოვრებ ყველა მოსწავლეს, მათი სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ჰქონდეს საშუალება მიიღოს უმაღლესი განათლება. ამ პროგრამაში 40-მდე აბიტურიენტი ჩაერთო და მათმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ამ პროექტის განხორციელებამდე, შუახევი ჰესის მშენებლობის ეტაპზე კომპანიამ გახსნა ინგლისური ენის მოსამზადებელი ცენტრები შუახევში, ხულოში, დიდაჭარასა და ღურტაში, სადაც 2 წლის განმავლობაში 212 მოსწავლემ გაიარა ინგლისური ენის კურსები, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხო ენის ცოდნის დონე, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მაღალმთიან აჭარაში. ჩვენ მომავალშიც ადგილობრივი საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად მუდმივად განვახორციელებთ პროგრამებს მომავალი თაობების მხარდასაჭერად.

As part of its educational projects, Adjaristsqali Georgia opened a preparatory center for university entrants at the Didachara School, where local students had the opportunity to prepare fully funded by the company in six subjects: History, Biology, Chemistry, Foreign Languages, Georgian, and Mathematics.

The company’s priority is to ensure that all students living in the highlands, regardless of their social or economic background, have the opportunity to access higher education. Around 40 students participated in this program, and the majority successfully passed the national unified exams.

Prior to this project, during the construction phase of the Shuakhevi HPP, the company opened English language preparatory centers in Shuakhevi, Khulo, Didachara, and Gurta. Over a period of two years, 212 students completed English language courses, significantly improving their language skills, which had been one of the main challenges in highland Ajara.
Going forward, we will continue to implement programs that support future generations, tailored to local needs and challenges.







# ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ | LITERARY SUPPORT

კომპანია ,,აჭარისწყალი ჯორჯია'' ყოველწლიურად უჭერს მხარს ლიტერატურულ ფესტივალ-კონკურსს "პეგასი", რომელიც აჭარის რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა. ფესტივალი პირველად 2019 წელს ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა, დღეს კი რეგიონის მასშტაბით ტარდება და სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან აერთიანებს ახალგაზრდებსა და დამწყებ ავტორებს

"პეგასის" მთავარი მიზანია თანამედროვე ქართული ლიტერატურის მხარდაჭერა, პოეზიისა და პროზის პოპულარიზაცია და ნიჭიერი ავტორებისთვის საკუთარი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის წარდგენის შესაძლებლობის შექმნა. კონკურსი ხელს უწყობს ახალგაზრდებში წერის კულტურის განვითარებას, თვითგამოხატვასა და ლიტერატურული გარემოს გააქტიურებას რეგიონში.

Adjaristsqali Georgia provides annual support to the literary festival-competition Pegasus, which has become one of the key cultural events in the Ajara region. The festival was first held in 2019 in the Khulo municipality and is now organised on a regional scale, bringing together young and emerging authors from different municipalities.

The main aim of Pegasus is to support contemporary Georgian literature, promote poetry and prose, and create opportunities for talented writers to present their work to a wider audience. The competition encourages the development of writing culture among young people, supports self-expression and contributes to the revitalisation of the literary environment in the region.

აჭარისწყალი ჯორჯიასთვის ფესტივალის მხარდაჭერა წარმოადგენს მიზნობრივ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც მიმართულია განათლებისა და კულტურის ხელშეწყობისკენ. კომპანიის მხარდაჭერით "პეგასი" ყოველწლიურად ინარჩუნებს უწყვეტობას, იზრდება მონაწილეთა რაოდენობა და ძლიერდება როგორც ხარისხიანი ლიტერატურული პლატფორმა აჭარისთვის.

For AGL, supporting the festival represents a focused commitment to social responsibility, directed towards the promotion of education and culture. With the company’s support, Pegasus has maintained continuity on an annual basis, seen a growing number of participants, and strengthened its role as a high-quality literary platform for Ajara




ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

LITERARY COMPETITION FOR YOUNG AUTHORS IN AJARA

# ადგილობრივი თემების მხარდაჭერა



# SUPPORTING LOCAL COMMUNITIES

Community development initiatives are aimed at strengthening small and medium-sized enterprises (SMEs), promoting employment, and enhancing community capacity. Through SME financing, agricultural training programs, and targeted support, The company contributes to local economic activity, skills development, and the region's long-term development.

თემების განვითარების ინიციატივები მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) გაძლიერებისკენ, დასაქმების ხელშეწყობისა და თემის შესაძლებლობების განვითარებისკენ. SME დაფინანსების, სოფლის მეურნეობის ტრენინგებისა და მიზნობრივი მხარდაჭერის მეშვეობით, კომპანია ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობას, უნარების გაძლიერებასა და რეგიონის გრძელვადიან განვითარებას.



# FINANCING MECHANISM FOR SME PROJECTS FUND FLOW MECHANISM

## მცირე და საშუალო ბიზნეს (SME) პროექტების დაფინანსების მექანიზმი

| კომპონენტი<br>COMPONENT | აღწერა<br>DESCRIPTION |
|---|---|
| გრანტის ოდენობა<br>Grant Size | მცირე გრანტები (მაგ. 1,000-7,000 ლარი თითო SME-ზე)<br>Small grants (e.g. GEL 1,000-7,000 per SME) |
| დანიშნულება<br>Purpose | აღჭურვილობის შეძენა, პროცესების გაუმჯობესება<br>Equipment, process improvement |
| თანადაფინანსება<br>Co-financing | SME უზრუნველყოფს 10%-იან თანადაფინანსებას, საკუთრებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით<br>SME contributes 10% (cash) to ensure ownership |
| გადახდის მექანიზმი<br>Disbursement | ეტაპობრივი გადახდა (მაგ. 60% წინასწარ, 40% განსაზღვრული ეტაპების შესრულების შემდეგ)<br>Tranche-based (e.g. 60% upfront, 40% up on milestone achievement) |

1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება
   1. Grant announcement
2. მცირე და საშუალო ბიზნესების (SME) შერჩევა
   2. SME selection
3. შესაძლებლობების გაძლიერება
   3. Capacity building
4. საგრანტო ადმინისტრირება
   4. Grant administration
5. ფინანსური სახსრების პირდაპირი გადარიცხვა SME-ებზე
   5. Funds disbursed directly to SMEs
6. დამოუკიდებელი აუდიტი / მონიტორინგი და შეფასება (M&E)
   6. Independent audit / Monitoring & Evaluation



## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა SME SUPPORT PROGRAM

| | |
|---|---|
| 88 | დაფინანსებული ბიზნესი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში<br>Total businesses financed in Khulo and Shuakhevi |
| 52 | ქალების მიერ მართული ბიზნესი<br>Businesses managed by women |
| 62 | დასაქმებული მამაკაცი<br>Men employed |
| 80 | დასაქმებული ქალი<br>Women employed |
| 142 | ჯამურად დასაქმებული<br>Total employed |

## სასოფლო-სამეურნეო პროგრამები AGRICULTURAL PROGRAMS

| | |
|---|---|
| 89 | მონაწილე მეფუტკრეობის ტრენინგში<br>Participated in beekeeping training |
| 41 | მონაწილე მესაქონლეობის ტრენინგში<br>Received training in cattle breeding |
| 42 | მონაწილე თხილის წარმოების ტრენინგში<br>Received training in nut production |
| 180 | ფუტკრის სკა თავისი ოჯახებით გადაეცა მონაწილეებს<br>Bee hives with families distrcibuted to participants |
| 39 | მსხვილფეხა საქონელი გადაეცა მონაწილეებს<br>Livestock disctibuted to participants |

**8550** განაწილებული თხილის ნერგი
HAZELNUT SAPLINGS DISTRIBUTED



# თემების განვითარება | COMMUNITY DEVELOPMENT

შუახევის ჰესების კასკადის განვითარების ჯერ კიდევ ადრეული ეტაპიდან, აჭარისწყალი ჯორჯია მუდმივად ზრუნავს საზოგადოებისა და ადგილობრივი ეკონომიკის ძალიერებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, კომპანიმა დააფინანსა 88 საწარმო ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, საიდანაც 52 ქალების მიერ იყო მართული. ამ ინვესტიციების შედეგად 142 ადამიანს მიეცა დასაქმების შესაძლებლობა, მათ შორის 80 ქალს და 62 კაცს, რაც გამოხატავს კომპანიის მტკიცე ნებას სოციალური თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერისთვის.

აჭარისწყალი ჯორჯია ასევე აძლიერებს ადგილობრივი მოსახლეობის პროფესიულ შესაძლებლობებს ტრენინგებისა და პრაქტიკული პროგრამების მეშვეობით. მეფუტკრეობის მიმართულებით 89 ადგილობრივი დაესწრო სწავლებებს, რომლებიც თანამედროვე პრაქტიკას და მუშაობის პროცესში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვას ეხებოდა. მონაწილეებს გადაეცათ სკები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და საჭირო ინსტრუმენტები, რაც მათი საქმიანობის უსაფრთხო განვითარებას უზრუნველყოფს.

საქონლის მოშენების მიმართულებით 41 მონაწილემ შეისწავლა ძროხების მოვლის ტექნიკები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკა, რის შემდგომაც გადაეცათ ძროხები შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნის მიზნით.

42 მონაწილე ჩაერთო თხილის წარმოების ტრენინგებში, რამაც გააძლიერა მათი ცოდნა ეფექტური კულტივაციის პრაქტიკებზე. პროგრამის ფარგლებში მათ გადაეცათ ჯამურად 8,550 თხილის ნერგი, რამაც ხელი შეუწყო როგორც პირადი შემოსავლის ზრდას, ასევე სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

აჭარისწყალი ჯორჯია განაგრძობს ინვესტიციას ადგილობრივ თემებში და მხარს უჭერს რეგიონის მდგრად და გრძელვადიან განვითარებას

From the early stages of the Shuakhevi HPP Cascade development, Adjaristsqali Georgia (AGL) has consistently supported the local communities and economy. Within the framework of the Small and Medium Enterprise (SME) Support Program, the company financed 88 businesses in the Khulo and Shuakhevi municipalities, 52 of which were managed by women. As a result of these investments, 142 people received employment opportunities, including 80 women and 62 men, reflecting the company's strong commitment to social equality and the economic empowerment of women.

AGL Georgia also strengthens the professional capacities of local residents through trainings and practical programs. In the field of beekeeping, 89 locals participated in trainings focused on modern practices and health and safety standards in daily operations. Participants were provided with hives, personal protective equipment, and necessary tools to ensure the safe development of their activities.

In the area of livestock breeding, 41 participants learned effective techniques for cow care, health management, and safety practices, and were subsequently provided with cows to create an additional source of income.

Furthermore, 42 participants took part in hazelnut cultivation trainings, enhancing their knowledge of effective cultivation practices. As part of the program, they received a total of 8,550 hazelnut seedlings, contributing both to personal income growth and the sustainable development of the agricultural sector.

Adjaristsqali Georgia continues to invest in local communities and supports the sustainable and long-term development of the region.





## ᲛᲔᲤᲣᲢᲙᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ | BEEKEEPING SUPPORT

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიამ" 89 ადგილობრივი მეფუტკრე დააფინანსა. პროექტის ფარგლებში მათ მიიღეს ფუტკრის სკები, პირადი დამცავი აღჭურვილობა და სხვა აუცილებელი ინსტრუმენტები, რაც საშუალებას აძლევთ განავითარონ საკუთარი ბიზნესი.

ტრენინგი ფოკუსირებული იყო მეფუტკრეობის თანამედროვე პრაქტიკაზე და წარმოების ეფექტურობაზე, რაც დაეხმარება მონაწილეებს საკუთარი პროდუქტის ხარისხის გაზრდაში და ბიზნესის გაფართოვებაში.

ინიციატივა ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და მეფუტკრეობის განვითარებას, როგორც ბიზნეს-სავაჭრო შესაძლებლობის შექმნას რეგიონში.

The company Adjaristsqali Georgia funded 89 local beekeepers. As part of the project, they received beehives, personal protective equipment, and other essential tools, enabling them to develop their own businesses.

The training focused on modern beekeeping practices and production efficiency, helping participants improve the quality of their products and expand their businesses.

The initiative contributes to strengthening the local economy and developing beekeeping as a business and trade opportunity in the region.





# იზოლდა სურმანიძე
# IZOLDA SURMANIDZE

იზოლდა სურმანიძე სხალთაში ცხოვრობს, სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმის დირექტორია და პარალელურად მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახს“ ხელმძღვანელობს. რამდენიმე წლის წინ, სოფლის საკუთარ ხის სახლში, მან საოჯახო სასტუმრო “სხალთა“ გახსნა, რომელიც დღეს სტუმრებს ტრადიციული აჭარული სტუმართმოყვარეობით, ხის სურნელითა და ბუნების სიმშვიდით ხვდება.

იზოლდამ ბიზნესის განვითარება 2017 წელს დაიწყო და დღეს უკვე 17-მდე სტუმრის მიღება შეუძლია. საოჯახო სასტუმროს განვითარებაში და საკონფერენციო სივრცის მოწყობაში, მას კომპანია “აჭარისწყალი ჯორჯიას“ სოციალური პროექტების ფარგლებში გამოყოფილი დაფ-

Izolda Surmanidze lives in Skhalta and serves as the Director of the Selim Khimshiashvili Museum, while also leading the municipal "Women’s Room.” Several years ago, in her own wooden home in the village, she opened the family guesthouse "Skhalta,” a place where visitors are greeted with traditional Ajara hospitality, the warm scent of wood, and the serene calm of nature.

Izolda began developing the business in 2017, and today the guesthouse can welcome up to 17 guests. The growth of the guesthouse, including the creation of a small conference space, was made possible with support from Adjaristsqali Georgia’s social projects,

დღის განმავლობაში იზოლდა ხულოში მცხოვრებ ქალებს ხვდება “ქალთა ოთახის“ ფარგლებში პრობლემებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ, სამუშაო დროს მუზეუმში ატარებს და საოჯახო სასტუმროს ვიზიტორთა მასპინძლობასაც ასწრებს.

სჯერა რომ ადგილობრივ ქალებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ და მათი როლი კიდევ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. იზოლდა თავისი გამბედაობით, მიზანდასახულობით, შრომით ყველას აძლევს ძალას და მოტივაციას.

Throughout the day, Izolda meets with women from Khulo through the "Women’s Room,” discussing challenges and opportunities. She also spends time at the museum and personally welcomes guests at her family guesthouse.

She firmly believes that local women have the power to create real change, and that their role in shaping and addressing community issues must continue to grow. Izolda, with her courage, determination, and hard work, gives strength and motivation to everyone.



# ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ

# INFRASTRUCTURE IMPROVEMENTS



The infrastructure projects aim to improve key facilities and infrastructure for local communities according to their needs. Through the building/rehabilitation of schools, water systems, roads, and community facilities, AGL strengthens local capacity, creates employment opportunities, and supports the development of local communities

ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანია, ადგილობრივი თემების საჭიროებების შესაბამისად მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სკოლების, წყლის სისტემების, გზებისა და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის გზით, აჭარისწყალი ჯორჯია აძლიერებს ადგილობრივ შესაძლებლობებს, ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ადგილობრივი თემების გაძლიერებას.



# ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება | INFRASTRUCTURE IMPROVEMENT



**291** ადგილობრივი დასაქმდა მოკლევადიან სამუშაოზე
locals employed on short-term employment

**14** სკოლის რეაბილიტაცია (ეზოები, სპორტული დარბაზე-ბი, ბიბლიოთეკები)
Schools rehabilitated (school yards, sport halls, libraries)

**15** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
Potable water systems rehabilitated

**10** სარწყავი და სადრენაჟე სისტემის მოწესრიგება
Irigation and drainage systems fixed

**15** სოფლის გზის რეაბილიტაცია (გაბიონები, დამცავი კედლები, ხრეშის საფარი)
Roads in villages rehabilitated (gabions, protective walls, gravelling)

**1** სოფლის სახლის აშენდა
Village house constructed



# გოდერძის ალპური ბაღი

მთიან აჭარაში სოფლის ტურიზმის განვითარებისა და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მხარდასაჭერად

# Goderdzi Alpine Garden

In support of the development of rural tourism and the conservation of local biodiversity in mountainous Ajara

გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის განვითარების ინფრასტრუქტურული ნაწილი, კომპანია ,,აჭარისწყალი ჯორჯიამ" 100 000 დოლარით დააფინანსა.

გოდერძის ალპური ბაღი 200-მდე ენდემური ჯიშის მცენარეს აერთიანებს, მისი ძირითადი დანიშნულებაა კავკასიის ეკორეგიონის მაღალმთიანეთის მცენარეთა კოლექციის თავმოყრა და კონსერვაცია, სუბალპური ზონის ტყის ზოლის აღდგენა, ეკო-განათლების პოპულარიზაცია და ტურიზმის განვითარება.

The infrastructural development of the Goderdzi Alpine Botanical Garden was financed by Adjaristsqali Georgia with an investment of $100,000.

The Goderdzi Alpine Botanical Garden brings together around 200 endemic plant species and its primary purpose is the collection and conservation of high-mountain flora of the Caucasus ecoregion, the restoration of subalpine forest zones, the promotion of eco-education, and the development of tourism.

გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის განვითარების პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსის (Mercy Corps), ბათუმის ბოტანიკური ბაღისა და კომპანია "აჭარისყალი ჯორჯიას" თანამშრომლობის შედეგად.

---

The development project of the Goderdzi Alpine Botanical Garden was implemented through the collaboration of the non-governmental organization Mercy Corps, the Batumi Botanical Garden, and Adjaristsqali Georgia.





# საბავშვო ბაღი
# KINDERGARTEN

კომპანია “აჭარისწყალი ჯორჯიამ“ შუახევი ჰესის პროექტის ფარგლებში სოფელ ჩანჩხალოში საბავშვო ბაღის მშენებლობა დააფინანსა. ეს ინიციატივა განხორციელდება კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის ფარგლებში. მშენებლობისთვის გათვალისწინებული 150 000 ლარის ინვესტიცია თანაბრად განახორციელეს კომპანიამ და შუახევის მუნიციპალიტეტმა.

საბავშვო ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, რათა ბავშვებს ჰქონდეთ უსაფრთხო, კომფორტული და შემეცნებითი გარემო, შესაბამისი ასაკობრივი ლიტერატურით.

As part of the Shuakhevi hydropower project, Adjaristsqali Georgia financed the construction of a kindergarten in the village of Chanchkhalo. This initiative is carried out through a partnership between the private and public sectors: the planned investment of 150,000 GEL was shared equally between the company and the Shuakhevi municipality.

The kindergarten is equipped with all the necessary resources to provide children with a safe, comfortable, and stimulating environment, including age-appropriate literature.

ეს პროექტი, ასობით განხორციელებულ სოციალურ პროექტთან ერთად, წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია კომპანია “აჭარისწყალი ჯორჯიასა“ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის.

This project, alongside hundreds of other social initiatives, stands as a successful example of co-operation between Adjaristsqali Georgia and the local municipality.





# ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ | HEALTHY LIFESTYLE SUPORT

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივ სკოლებს, მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით. ჰესის ოპერირების არეალში კომპანიის მხარდაჭერით სკოლებში განთავსდა თანამედროვე ტრენაჟორები, განახლდა სათამაშო მოედნები და მოეწყო შიდა კალათბურთის დარბაზები, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს სუფთა გარემოში, აქტიურად ივარჯიშონ და სპორტით დაკავდნენ.

აჭარისწყალი ჯორჯიას ინვესტიცია სკოლების ინფრასტრუქტურაში ხელს უწყობს ბავშვებში სპორტული კულტურის გაძლიერებას, ეხმარება მათ ჯანსაღი ჩვევების შეძენაში და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერებაში.

Adjaristsqali Georgia actively supports local schools with the aim of promoting a healthy lifestyle among the next generation. Within the HPP's operational area, and with the company's support, schools have been equipped with modern exercise equipment, playgrounds have been renovated, and indoor basketball halls have been established, providing children with the opportunity to engage in physical activity and sports in a safe and clean environment.

Adjaristsqali Georgia's investment in school infrastructure helps strengthen a culture of sports among children, encourages the development of healthy habits, and enhances their teamwork skills.








# კულტურის მხარდაჭერა | CULTURAL SUPPORT

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" ხელს უწყობს კულტურის განვითარებას მაღალმთიან აჭარაში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების მხარდაჭერას.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანიამ დააფინანსა სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა, რომელიც სრულად უზრუნველყო საჭირო სამხატვრო ინვენტარით: ტილო, ფუნჯები, საღებავები, პალიტრებითა და სხვა აუცილებელი მასალებით.

აღნიშნული ინიციატივა ემსახურება მოსწავლეების თვითგამოხატვის ხელშეწყობას და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებას.

აჭარისწყალი ჯორჯია მომავალშიც განაგრძობს მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი საზოგადოების განვითარებას და ახალი თაობის პოტენციალის გამოვლენას.

Adjaristsqali Georgia supports the development of culture in the highland regions of Ajara, with a particular focus on nurturing the creative abilities of children and young people.

As part of its social responsibility efforts, the company funded an exhibition of school students' artwork and fully provided the necessary art supplies, including canvases, brushes, paints, palettes, and other essential materials.

This initiative aims to encourage students' self-expression and spark their interest in the arts.

Adjaristsqali Georgia will continue to support similar initiatives that contribute to the development of local communities and help unlock the potential of the younger generation.



info@agl.com.ge
www.agl.com.ge